15-ს სეკტემბერს | წელიწადი მეორე. | 1884 წელსა.

მწყემსი

№ 18.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის ,,მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію ,,Мцкемси" (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: კიდევ ქადაგებითი სიტყვაზე.—ყოფა-ქცევა კრებულთა რჯულის კანონით.—გორის მაზრიდამ I, II.—დათვალიერება მეტეხის ტაძრისა.—ქრისტიან. გავრცელება საქართველოში XI.—ნეკროლოგი.—არხეოლოგიური ცნობები.—ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.—სხვა-დ-სხვა ამბები დ შენიშვნები.—მკვდარ ცოცხალი (მოთხრობა გრაფი მ. ტოლსტოისა რუსულიდგან).—განცხადებანი.

კიდევ ქადაგებითი სიტყვაზედ.

(ბატ. ერის კაცის და დეკანოზის რაჟდენ გიგაუროვის პოლემიკის გამო, ,,მწყემსი" №№ 14, 15 და 16).

ჩვენი სასულიერო წოდება, უეჭველია, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდა იმ საკამათო საგანს, რომელმაც გამოიწვია ბაასი ბატ. ერის კაცის და დეკანოზის რაჟდენ გიგაუროვის შორის. ეს საგანი—ქადაგებითი სიტყვის საჭიროება და ამ სიტყვის აწინდელი არა—სანატრელი ბედი — მეტად ღირს შესანიშნავია და ითხოვს ვრცელს და პირუთვნელს განხილვას. სჩანს, რომ თითონ სასულიერო წოდებას შეუგნია თავისი ნაკლულევანება—ქადაგებითი სიტყვის გაუქმება და ხმა-მაღლა აუწყებს საზოგადოებას ამ ნაკლულევანებას. ეს კარგი ნიშანია. როდესაც რომელიმე წოდება, ან კერძო პირი გრძნობს თავის თავის ნაკლულევანებას, მაშინ იმას წადილიც ებადება, რომ ეს უკანასკნელი როგორმე მოიშოროს თავიდამ. აი რისათვის საჭიროა გამოირკვეს და გამოაშკარავდეს ის გარემოება, ის უმთავრესი მიზეზი, რომელმაც წარმოშობა ასეთი თუ ისეთი ნაკლულევანება, დანაშაულება.

ჩველა, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი სასულიერო წოდებისათვის, ცხადად ჰხედავს ამ წოდების არა—სანატრელს მდგომარეობას. ჩვენში ეს წოდება არა სდგას ჯეროვანს გონებრივს და ზნეობრივს სიმაღლეზედ და ამისათვის ნამდვილს წინამძღოლობასაც ვერ უწევს საზოგადოებას. იმ დროს, როდესაც სხვაგან სასულიერო წოდების რაზმი დღითი-დღე ივსება განვითარებული და შესანიშნავი პირებით, ჩვენში სულ სხვასა ვხედავთ. აქ, საქართველოში, რაც დრო და ჟამი გადის, სასულიერო წოდების რაზმი რაღაცა ვერ იწევს მაღლა. ეს რაზმი ივსება ისეთი მოღვაწე პირებით, რომელთაც უძნელდებათ თავიანთი სამღთო მოვალეობის წმინდად და შეუმწიკვლელად აღსრულება. უმაღლესმა მთავრობამაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და სცდილობს როგორმე წამალი დასდოს ტკივილს, სენს. მართლაც და ვისთვის არ არის ცხადი, რომ საუკეთესო

სემინარიელები და აკადემიელები აღარ კადრულობენ მღვდლობას, წმიდა ტრაპეზის სამსახურს და მისწრაფებიან საერო ასპარეზისაკენ? სხვაგან ასე არ არის. ინგლისში და საფრანგეთში სასულიერო წოდების რაზმი სავსეა შესანიშნავის ჩამომავლობის და განათლების მქონე პირებით და დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ex-პრეზიდენტის, საფრანგეთის მარშლის მაკმაღონის შვილი მღვდლად წავიდა. ძველს საქართველოშიც ისე იყო, როგორც ეხლა ევროპაშია. აქ, ჩვენ ძველს საქართველოში, სასულიერო წოდება შეადგენდა ერის პირველს წინამძღოლ წოდებას, ამ წოდებაში იღვწოდნენ და მუშაკობდნენ უპირველესის გვარის და ჩამომავლობის წარმომადგენელნი, შესანიშნავის სწავლის და ნიჭის მქონენი. ეხლა კი მათი ადგილი დაიჭირეს ისეთმა პირებმა, რომელნიც აჩრდილიც არ არიან ღირსეული წინაპრებისა. ამ გვარი მდგომარეობა თუმცა სათაკილოა ჩვენის სასულიერო წოდებისათვის, მაგრამ მას ბოლო მალე მოეღება და ეს წოდება მოკლე მომავალში დაიჭერს შესაფერს ადგილს ერის ცხოვრებაში, თუ კი გულ-მოდგინედ და მუყაითად შეუდგება თავის ,,განახლების‘‘, აღორძინების საქმეს. ამ სასარგებლო და სასიქადულო საქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ის, რითაც ძლიერი იყო ჩვენი ძველი სასულიერო წოდება, საჭიროა ეროვნული სწავლა-განათლება. ყველგან, სადაც რომელიმე წოდებას უპირატესობა ჰქონია ერის ცხოვრებაში, ამისი უმთავრესი მიზეზი ეროვნული სწავლა ყოფილა. ასე იყო ევროპაში; ამასვე ვხედავთ ძველს საქართველოში.

შეუგნია ჩვენს სამღვდელოებას ეს მარტივი მიზეზი, თუ არა? ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღვიაროთ—არა! ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ბაასი, რომელიც გამოიწვია ,,მწყემსში‘‘ კითხვამ ქადაგებითი სიტყვაზედ. სასულიერო წოდება თითონაც კარგად ჰხედავს, რომ ჩვენს ეკკლესიებში აღარ ისმის სიტყვიერი სწავლა, ძლიერი ხმა ქადაგებისა, ჰხედავს და თავს იმართლებს საზოგადოების წინაშე. ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს, ყველა დამნაშავეს შესაწყნარებელი საბუთი მოეპოვება და ჩვენს სასულიერო წოდებასაც შეუძლიან თავი იმართლოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ნამდვილი მიზეზი უნდა დაასახელოს და ,,იკლიკანტურ უბნობას‘‘ არ მიჰყვეს. სწორედ ასე ,,იკლიკანტურად‘‘ უბნობს დეკანოზი ბ—ვი, როდესაც სჯის ქადაგებითის სიტყვის აღმოფხვრაზედ. თუ კი მარტო დეკანოზი ბ—ვი იქნებოდა ამ შეხედულობისა ასეთის უაღრესის მნიშვნელობის საგანზედ, როგორიც ქადაგებითი სიტყვის დაცემაა საქართველოში, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მას მრავალი თანამოაზრენი ჰყავს და ამისათვის საჭიროა მათი მსჯელობის დარღვევა, მათი აზრის უარის-ყოფა.

რა არის, მ. ბიგაუროვის აზრით, მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ აწინდელს საქართველოში ქადაგებითი სიტყვა იშვიათად-ღა ისმის? ეს მიზეზი ეკონომიური მიზეზი გახლავთ, ამბობს დეკანოზი, რომელიც შეჰფარებია ეკონომიურ მეცნიერებას და ივიწყებს, რომ არა მარტო ერთითა ,,პურითა ცოცხალ იქმნების კაცი‘‘... თუ ეხლა ჩვენს ეკკლესიებში კათედრიდამ აღარ მოისმის მოძღვრება, ხმა ქრისტიანობრივი ქადაგებისა, ეს იმიტომ, რომ სასულიერო წოდება მეტად ღარიბიაო და პურის ლუკმის გარდა სხვაზედ ვერ იფიქრებსო. ამ ყალბს, მაგრამ მაცდურს და მიმზიდველს შეხედულობას ისე გაუტაცია ჩვენში ზოგიერთი ეკონომისტები, რომ მათ ჰგონიათ ვითომ ჩვენ ,,ნასწავლი მოძღვრები‘‘ იმიტომ არა გვყვანან, რომ იმათ ცხოვრება უჭირთ სასულიერო სამსახურში. თუმცა უბრალო ლოღიკა იმას ამბობს, რომ ,,ნასწავლი მოძღვრების‘‘ საშოვნელად ჯერ საჭიროა ნამდვილი სწავლა-განათლების გავრცელება, მაგრამ ეს ვაპატიოთ ეკონომისტებსა და ამათ დედააზრს მივმართოთ.

როგორც მოგეხსენებათ, ეხლა ეკონომიური შეხედულობა სხვა და სხვა საზოგადოებრივს მოვლენაზედ მეტად ხშირია და ყველა, მცოდნე და უვიცი, ამ შეხედულობას ეპოტინება, მითი კეკლუცობს. მაგრამ არის ისეთი ჯგუფი მოვლენათა, სადაც სხვა მიზეზს უჭირავს პირველი ადგილი და არა ეკონომიურს. ამ გვარ მოვლენათა ჯგუფს ეკუთვნის რელიგია, ქრისტიანობრივი სარწმუნოება. ამ სარწმუნოების წარსული, ქრისტიანობის გავრცელების ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ ქადაგებისათვის საჭირო ყოფილა და არის კიდევ უფრო ცხოველი გრძნობა, რწმენა, სიყვარული ჭეშმარიტებისადმი, ვიდრე სიმდიდრე და ეკონომიური კეთილ-მდგომარეობა. ხოლო ცხოველი გრძნობა, რწმენა, სიყვარული ჭეშმარიტებისადმი მოიპოვება ქრისტიანობრივის სწავლის საფუძვლიანად შეთვისებითა, მიღებითა. ამისათვის ღარიბს მოძღვარსაც ეყვარება ქადაგება, იგი მუყაითი მოსამსახურე იქნება თავის კათედრისა, თუ კი მას სწავლა ექნება მიღებული და გრძნობა აღგზნებული. და რომ ეს მართალია, საეკკლესიო ისტორიიდამ სჩანს. ქრისტიანობის გულმხურვალე მქადაგებელნი უმეტესი ნაწილად ღარიბნი და ღატაკნი ყოფილან. თვით პირველნი მოციქულნი,

დაუღალავნი მქადაგებელნი ზეციური სწავლა-მოძღვრებისა, ღარიბნი იყვნენ. მისიონერობის ისტორია უფრო აშკარად ამტკიცებს ჩვენს აზრს...

თუ ეს ასეა, მაშ ეკონომიური სიღარიბე ჩვენის სასულიერო წოდებისა არ ყოფილა იმის მიზეზი, რომ შესწყდა ხმა ქადაგებისა. აქ სხვა უმთავრესი მიზეზია და სახელდობრ ისა, რომ ჩვენ მღვდლებს აკლიათ ეროვნული სწავლა-განათლება, საფუძვლიანი შეთვისება ქრისტიანობრივის სწავლისა. მხოლოდ ამ სწავლა-განათლებას შეუძლია დაჰბადოს სასულიერო წოდებაში ღრმა რელიგიური რწმენა, ცხოველი გრძნობა და ამ რწმენას, გრძნობას ხომ თან მოჰყვება ძალუმი ხმა, ღაღადება, ქადაგება. რომ ყოველივე ეს მართალია, ამას ამტკიცებს ცხოვრება. თუ ეხლა „ნასწავლი სემინარიელი" არ არის მქადაგებელი, ამის მიზეზი ის როდი გახლავთ, რომ ეს განათლებული გვამი „სუფთად ვერ გამოდის საზოგადოებაში" —არა, აქ ის მიზეზია, რომ ხსენებული გვამი სუსტად არის მომზადებული. რა ქადაგება შეუძლიან ისეთს სემინარიელს, რომელმაც არ იცის არც სამშობლო საეკკლესიო ისტორია, არც სამშობლო ქადაგებითი სიტყვის წარსული და აწმყო და სხვ.? თუნდაც დიდი სურვილი ჰქონდეს, მაინც ასეთი სემინარიელი ვერ შეიქნება მქადაგებელი, რადგანაც იგი არ არის მომზადებული ერის და საზოგადოების საქადაგებლად, სამოძღვროდ...

(გაგრძელება იქნება).

ყოფა-ქცევა კრებულთა რჯულის კანონით.

რჯულის კანონში არიან შემუშავებულნი რამოდენიმე პრინციპები (შეურყეველი წესდებულებანი), რომლებმაც მიიღეს როგორც სამოქალაქო, აგრეთვე საეკკლესიო უფლება და რომლების (პრინციპების) შეურაცხება არის დარღვევა ყველა ეკკლესიის კანონებისა. ეს პრინციპები, რომლებიც ფიცხლად საზღვრენ კრებულის ყოფა-ქცევას, გაჩნდნენ პირველ დროსავე ეკკლესიის დაარსებისა და შემდეგში შევსებულ იქმნენ სხვა-და-სხვა დროთა მსოფლიო და ადგილობით კრებებზე. უძველესი ეკკლესია ხელმძღვანელობდა ამ პრინციპების დაარსების დროს ორი მიზეზით: რელიგიური და ზნეობითი. ამას (ეკკლესიას) სურდა და სურს, რომ ეკკლესიის კრებული, დიდი თუ პატარა იყოს ღირსი იმ დიდი და წმიდა სახელისა, რომელიც არის „ტაძრის მოსამსახურე". მთელი მათი ცხოვრება და მოქმედება, როგორც კაცთა, რომლებიც არიან მოწოდებულნი და თავ შეწირულნი განსაკუთრებით ღვთის მსახურებისათვის, უნდა მიმდინარეობდეს ქვეყნის და თავის-თავის სამსახურში კი არა, არამედ ღვთის მსახურებაში. იმათ თითქმის არაფერი არ უნდა ჰქონდეთ საზოგადო ქვეყნიურ ცხოვრებასთან, არა რაიმე ქვეყნიერი ინტერესით არ უნდა იყვნენ შეპყრობილნი. თითოეული კრებულის ნაბიჯი, თითოეული მისი მოძღვრობა, ყოველივე მოქმედება და ქცევა უნდა იყოს განსჭვირვალი სარწმუნოების შთაბერვითა; უნდა აცხადებდნენ, რომ ისინი არიან საკუთრება უფლისა. დამყარებულმა ეგეთ უმაღლეს კრებულის დანიშნულებაზე, წმიდა ეკკლესიამ იმათ უჩვენა ისეთი ცხოვრება, რომლითაც ცხადათ იხატება ხასიათი და ღირსება ქრისტიანობრივი სარწმუნოებისა. კრებული უნდა იყოს განშორებული ყველა უზნეო მოქმედებას, რომლითაც იბღალება მათი სახელი და ღირსება. უმთავრესი ჰაზრით რჯულის წყაროებისა კრებულში უნდა მოიპოებოდეს საუკეთესო მომქმედი ძალა, რომლის საშუალებითა ეკკლესიას უნდა მოჰყვანდეს სისრულეში თავისი უმაღლესი დანიშნულება კაცობრიობაში. ამისთვის ეს ხარისხი საზოგადოებისა უნდა იდგეს იმ ზნეობით სიმაღლეზე, რომელიც შეჰფერის მის დანიშნულებას, მიზანს და იდეას. კრებული უნდა იყოს ის იარაღი, რომლითაც ეკკლესიას სურდა და სურს მოიყვანოს სისრულეში ის საუკეთესო მიზნები, რომლების აღსრულებაც კი მოხერხდება კაცის ცხოვრებაში. ზნეობითი მხრით კრებული, როგორც საკუთრება უფლისა, ამბობს ნეტარი იერონიმი, უნდა იყოს მაგალითი სათნო და ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი ცხოვრებისა. ამ მხრით ის უნდა ემსგავსებოდეს „ქალაქს წვერსა ზედა მთისასა," „მაღალ სანთელს შანდალზე". იესო ქრისტემ, როდესაც ის უხსნიდა მოციქულებს საყოფა-ქცევო მცნებას, ბრძანა: ეგრეთ ბრწყინვიდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი დ ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა (მათ. 5—16). ამ სიტყვებით მაცხოვარმა მოციქულებს გამოუხატა არა მხოლოდ გარეგანი დაცვა მცნებათა, არამედ მათი აღსრულებაც საქმით და სიტყვით. ესევე ეკუთნის საეკკლესიო კრებულთა, როგორც მემკვიდრეთა მოციქულთათა. მაგრამ ამას არ დასჯერდა ეკკლესია. ის აგონებდა კრებულს განსაკუთრებით სიფრთხილეს და განმსინჯველობას, რომ მისმა ყოფა-ქცევამ არავინ შეიყვანოს შეცთომაში და ამით არ მოავლინოს განკიცხვა თავის-თავზე და ეკკლესიაზე. ეკკლესია თხოულობდა და თხოულობს მათგან

მუდმივ დაუცხრომელ გონებითი და ზნეობითი თავის-თავად აღზრდას და გაუმჯობესობას, მუდმივ თვალ-ყურის დევნას თავის უმაღლეს მიზანზე, გულ-მოდგინედ დაფარვას თავის ზნეობითი ღირსებისას და განშორებას ყოველივე იმისგან, რაც კი არის, ცოტა-ოდენათაც, შემბღალველ მისი ყოფა-ქცევისა და თითქმის ჰაზრისა და გრძნობისა. რისთვის თხოულობდა წმ. ეკლესია კრებულისაგან ესრეთ მკარცხლ ცხოვრებას, ამას გვიხატავს ჩვენ წმიდა Іოანნე Ოქროპირი: „დაბალი ხალხი, ამბობს წმ. მამა, ჩვეულებრივ შეჰყურებს ყოფა-ქცევას მასზედ უმაღლესისას, როგორც მაგალითს და სცდილობს ყველაფერში იმას მიბაძოს. როგორც იმის (მაღალი ხალხისას) კეთილ ღვაწლს მოაქვს დიდი სარგებლობა, რადგანაც აღძრავს სხვებში მიბაძვას, ეგრეთვე მისი ცუდი ქცევა არის დამხშველი სურვილისა ყოველ კეთილი საქმისადმი. ამისთვის სული მღვდლისა ყოველგან უნდა ბრწყინავდეს სიმშვენიერით, რათა სული მორწმუნეთა, მისი მომზერალნი, თვითონვე გაბრწყინდნენ. ცუდი ქცევა ერისგანთა, თუმც საქვეყნოთაც, არავისთვის არ არის ძრიელ საშიში ჭრილობა; მაგრამ მდგომი სიმაღლესა ზედა სამღვდელო ღირსებისა არის ყოველგან ხილული და ცოტა-ოდენი მისი შეცდომა დიდად მოეჩვენებათ სხვებს. ყოველ შეცთომას ზომვენ არა ზომითა თვით მოქმედებისა, არამედ ღირსებითა შემცოდველისა. ამის გამო მღვდელმა უნდა შემოიზღუდოს თავი დაუცხრომელი მღვიძარებითა, სამუდამო სიფხიზლითა, თვალტანებითა, რომ არ დარჩეს მის სხეულზე რომელიმე ადგილი ტიტველი და მტერმა, შენიშნოს რა ესე, არ დაჰკრას სასიკვდინედ. არა მხოლოდ მტერი სდევნის მას, არამედ ისინიც, რომლებიც მეგობრათ ეჩვენებიან“.

ჩხლა ყური დაუგდოთ, რას ამბობს წ. ამბროსი მედიოლანელი.

„ჰა ფასი აქვს უმაღლეს ღირსებას, როდესაც ცხოვრება ბიწიერია?

ჰა გამოდის იმისგან, როდესაც თანამდებობა საღმრთოა, მაგრამ მოქმედება სასირცხო!

— ჰოდესაც ტანთსაცმელი საღმრთოა, მოქმედება საქვეყნო!

ხიტყვა კრძალული ვითარცა მტრედისა, ჰაზრი კი უწმინდური, ვითარცა ქაინის! „სამოსელი ცხვრისა, მრისხანება და მტაცებლობა მგლისა!“ სხვა რა უნდა გვესმას ჩვენ ოჰ ფლისაგან, გარდა ამისა: „მოახლებულ არს ჩემდა კაცნი სადიდებელად პირითა თვისითა, ხოლო გული მათი შორს განდგომილ არს ჩემგან.“

ეკლესიამ ფიცხლად განუსაზღვრა კრებულს მოქმედება და ცხოვრება. დამყარებული მის უმაღლეს დანიშნულებაზედ შესასრულებად საღმრთო საიდუმლოთა და მწყსად ჭრისტეს სამწყსოისა, ეკლესიამ აღუკრძალა კრებულს ქვეყნიური საქმეები. „არავის ძალუძს ორთა უფალთა მონება“, ბრძანა ჰაცხოვარმა. მე-81 მოციქულთა კანონი მპისკოპოზს, მღვდელს, დიაკონს და სხვებს აღუკრძალავს სახალხო მმართველობაში მონაწილეობის მიღებას. მაჭრობაც აღკრძალული ჰქონდა კრებულს. კრებულთაგანს აღკრძალული აქვს არამც თუ პატრონობა სირაჯ-ხანებისა და იქ სამსახური, არამედ შიგ შესვლაც, გარდა გაჭირვებისა—მოგზაურობის დროს. კონსტანტინე არმენაპული თავის განმარტებაში ამ საგანისა შენიშნავს, რომ პატრიარქმა ლუკამ სირაჯ-ხანებთან კრებულს აღუკრძალა ვაჭრობა და აბანოების შენახვა, რადგანაც ესენი აძლევენ მიზეზს ანგარებისას და მოტყუებისას. როცა კოსტანტინე დიდმა გამოსცა კანონები შესახებ ფულის სარგებლის გარდახდევინებისა, ამავე დროს ნიკიას კრებამ დაადგინა კანონი სარგებლის შესახებ, კანონი, რომლითაც სასტიკად უკრძალავდა კრებულს სარგებლის აღებას, როგორც სასირიცხო და მოსაგებელ საქმეს. კრებულს აღკრძალული ჰქონდა ეგრეთვე სხვისთვის ჩაბარება ფულისა სასარგებლოდ. სხვა მსოფლიო კრებანიც უკრძალავდნენ კრებულს ამ გვარ საქმეს, რომლებსაც უწოდებდნენ „დედად ყოვლისა ბოროტებისა“; არა თუ ფულის სარგებლის აღება ჰქონდა კრებულს აღკრძალული, არამედ რისიმე ფულზედ გა-

ზიდი ვასილის კანონით მექრთამეს და ვაჭარს ქირავების ნებასაც კი არ აძლევდნენ მას.

შეეძლო კრებულში ჩარიცხულიყო იმ შემთხვევაში, უკე-თუმცა ისინი ქრთამით ნამოვარს გლახაკებს დაურიგებდნენ და შემდეგში პირობას დასდებდნენ, რომ შემდეგისთვის ამ გვარ საქმეს აღარ ჩაიდენდნენ. ეკლესია უკრძალავდა კრებულს აღებ-მიცემობას, სხვათა შორის, იმისათვის, რომ ის თავის პირ-და-პირ მოვალეობას ავიწყებდა მათ. მ. კიპრიანი თავის დროის კრებულს ესრე უჩივის: „იმათ, რომლებსაც შეფერის სხვისი დარიგება და მაგალითის ჩვენება, დაივიწყეს ღვთის მსახურება და ზრუნავენ ქვეყნიურ საქმეებზე, სტოვებენ სამასწავლებო კათედრას და სამწყსოს და ღმუიან სხვის მაზრაში, ვითარცა მგლები, მიზდევენ სასარგებლო ვაჭრობას, რომ მუჭით მოაგროვონ ოქრო და ვერცხლი, მოტყუებით და მცბიერობით მოიპოვონ ადგილ-მამული და გაამრავლონ სარგებელი ფულისა.“

რჯულის კანონით არც მღვდელს, არც დიაკონს და არც მედავითნეს არ შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა სამხედრო საქმეებში. კრებულში ჩარიცხულთა ბერთა, ამბობს მე 7 ხალკიდონის კრება, არ აქვთ უფლება შევიდნენ სამხედრო სამსახურში და რომლებიც გაბედვენ ამას, გადაცემულ იყვნენ ანათემითა. ყმა, რომელიც ჩაირიცხებოდა კრებულში თავის ბატონის ნება დართვით, თავისუფალი ხდებოდა, მაგრამ უკეთუ გამოვიდოდა კრებულის დასიდგან და მიიღებდა სამხედრო წოდებას, მაშინ ის ჰკარგავდა თავისუფლებას და ხდებოდა ისევ თავის ბატონის ყმად. კანონები შესახებ სამხედრო სამსახურისა კრებულთა იყვნენ ისეთი ფიცხელნი, რომ უკრძალავდენ კრებულში ჩარიცხვას იმ პირთ, რომლებიც ოდესმე იყვნენ მხედარნი.

ქ. უ.

(გაგრძელება იქნება).

გორის მაზრიდამ.

I.

ოცს აგვისტოს სოფელ მეტეხში იყო საბლაღოჩინო სამღვდელოთა კრება. კრება იყო მოწვეული მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის არხიეპისკოპოსის პავლეს ცირკულიარული მოწერილობის მოსასმენად; ამ მოწერილობით მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა გვიცხადებს სამღვდელოებას, რომ 17 ნოემბერს ქ. ტფილისში სამღვდელოების საზოგადო ეპარხიალური კრება იქმნება და წინათვე საბლაღოჩინო სამღვდელოთა კრებებზე მოიფიქრეთ იმ საგნებზე, რომლებზედაც ამ ეპარხიალ. კრებას ექმნება ბაასიო. ჭეშმარიტია, რომ ფრიად კარგი განკარგულება უნებებია მისს მეუფებას, რადგან წინათვე გვატყობინებს სამღვდელოებას და გვიბრძანებს განვიხილოთ ის საგნები, რომლებზედაც მომავალ სამღვდელოების ეპარხიალურ კრებას ექმნება მსჯელობა. წინათ დეპუტატები გამოცხადდებოდენ კრებაზე და პირველად იქ ტყობულობდენ, თუ რა-და-რა კითხვები ჰქონდათ მათ განსახილველი.

ცირკულიარული მოწერილობა ეხება შემდეგ კითხვებს: 1) ქალების ეპარხიალურ სამ-კლასიან სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებას და მის შენახვისთვის საშვალოების აღმოჩენას; 2) რადგანაც ზნეობითი გავლენა სამღვდელოებისა ხალხზე და მის რელიგიურ მდგომარეობაზე ისე შემცირდა, რომ ხალხი ან სულ აღარ დაიარება ეკკლესიებში, ან თუ დადის უყურადღებოდ. ამიტომ საჭიროა სამღვდელოებამ მიაქციოს ყურადღება და იხმაროს ზომები ხალხის ზნეობითი და რელიგიური მდგომარეობის ასამაღლებლად. ერთი უკეთეს საშვალებათაგანი ამ საღმრთო მიზნის მისაღწევად, ბრძანებს ცირკულიარში თითონვე ექსარხოსი, არის ქადაგება და სამრევლო სკოლებიო.

3) მესამე კითხვა შეეხება წმინდა სანთლის საქმის წარმოებას. წმინდა სანთლის შემოსავალი ერთ საუკეთესო წყაროს შეადგენს ეკკლესიების და სასულიერო სასწავლებლების შესანახავათაო, ბრძანებს ექსარხოსი, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, მისი წარმოება ძალიან ცუდათ მიდისო, ეს იმის წყალობით, რომ წევრნი წმინდა სანთლის ქარხნის კომიტეტისა ვერ იქცევიან ფხიზლათაო; გარდა ამისა, თვითონ ეკკლესიებშიაც ვერ აწარმოებენ სანთლის საქმეს რიგიანათაო; ხალხი ხშირათ კერძო დუქნებში ყიდულობს სანთელს ჩუმათ და იმას ხმარობს როგორც სახლში, ისე ეკკლესიებშიო, სამღვდელოება კი ამას ყურადღებას არ აქცევსო; თუ წარმოება სანთლისა ამ სახით გაგრძელდაო, ეკკლესიებს და სასულიერო სკოლებს მოაკლდებათ ერთი უპირველესი წყარო შემოსავლისაო, ურომლისოთაც იმათ არსებობა თითქმის არ შეუძლიანთო.

ხდომა გაიხსნა სოფლის სკოლის შენობაში.

ხდომის გახსნისათანავე პატივცემული მ. ბლაღოჩინი დ. ბარნაბოვი მიიქცია შეკრებილებისადმი მშვენიერი სიტყვით, რომელშიაც გამოხატა არასანატრელი მდგომარეობა ჩვენი სამღვდელოებისა სწავლის შესახებ. განუმარტა შეკრებილებას მღვდლის მოვალეობა, სკოლების გახსნის საჭიროება, ქადაგებითი სიტყვის გავრცელება. გარდა ამისა, ეპარქიალური ქალების სასწავლებლის კლასების მომატებაზე და კლასების შესანახავი ფულების წყაროს გამონახვაზე; განუმარტა სამღვდელოებას სანთლის წარმოების საქმის მდგომარეობა და უჩვენა მათ ის ღონენი და მოსაზრებანი, რომლითაც სამღვდელოებას შეუძლია სანთლის საქმე კარგად წაიყვანოს და სხვა და სხ. ბლაღოჩინის სიტყვამ ბევრზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

გაჩნდა ხმა მაღლივ დაუდგრომელი ბაასი ქალების ეპარხიალური სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებაზე. ამ სასწავლებელზე ბევრი უსაფუძვლო აზრი წარმოითქვა, რომლის წყალობით ამ სასწავლებლის ექვს-კლასიანათ გადაკეთებაზე

უარი განაცხადა სამღვდელოებამ; ამასთანავე დასძინეს: „ჩვენ ვგრძნობთ სწავლის საჭიროებას და სარგებლობას, მაგრამ ჩვენი სიღარიბე ნებას არ გვაძლევს, რომ ეს სამ-კლასიანი სასწავლებელი ექვს-კლასიანად გადავაკეთოთ. შემდეგისთვის, თუ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდა, ვეცდებით ამ სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებას.“

Უესახებ ზემო მოყვანილ მეორე კითხვისა კრებამ დაადგინა შემდეგი აზრი: 1) აღსადგენათ სამღვდელოების ზნეობითი გავლენისა ხალხზე, ვალდებულია მღვდელი ყოველ კვირა ეკკლესიაში ქადაგება სთქვას ან საკუთარი, ან ზაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებიდგან; 2) თუ სამრევლო სკოლებს გახსნიან ან საზოგადოება და ან მთავრობა, მაშინ ვალდებულათ ჩავთვლით ჩვენ თავს, რომ უჯილდოოთ ვასწავლოთ. შესახებ წმინდა სანთლის წარმოებისა კრებამ დაადგინა: დეპუტატებმა განიხილონ სანთლის ქარხნის კომიტეტის წევრების მოქმედება და, თუ საქმის უცოდინარობა და დაუდევრობა აღმოუჩნდეთ, გამოსცვალონ იგინი, და მიანდონ სანთლის ქარხნის წარმოება უფროკეთილ საიმედო პირებს, და ჩვენც სამღვდელონი ვალდებულნი ვართ მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება ეკკლესიებში სანთლის წარმოებას და უქადაგოთ ხალხს, რომ ჩვენ სანთლის ქარხანაში და ჩვენს ეკკლესიებში იყიდონ ხოლმე წმინდა სანთელი. Ცირკულიარის საგნების განხილვის შემდეგ, კრებამ განიხილა კერძო საჩივრები დიაჩოქებისა მღვდლებზე შესახებ შემოსავლის ნაწილის მიცემისა, უფრომიუცემლობისა. Ეშმარიტად, რომ დიდ სამწუხარო მოვლენას შეადგენს ჩვენ სამღვდელოების წრეში ასეთი გაუთავებელი საჩივრები მღვდელსა და დიაჩოქ შუა და ნეტავი როდის მოეღება ამას ბოლო!?

კრების ერთი სამღვდელოთაგანი.

II.

Აგვისტოს 28-ს გაქურდეს ს. მეტეხის ღვთისმშობლის ეკკლესია და გაიტანეს ორი ძველი ძვირფასი და დიდათ შესანიშნავი ხატი, რომელნიც, როგორც ანგარიშა ადგილობითი მღვდელმა, ღირდნენ 7000 მანეთი: ერთი ხატი იყო წონით 12 გირვანქა ვეცხლი ოქროთი ნაცური, ჰქონდა 28 მსხვილი და წვრილი იაგუნდი, 13 მომსხო ფირუზი და 43 მარგალიტი. მეორე იყო წონით 4 გირვანქა ვეცხლი, ესეც ოქრო ნაცური და თვლებით შემკული.

Ჩურდები დღესაც არ აღმოჩენილან. შესანიშნავია, რომ საზოგადოება არ ეძებს ყარაულების დაყენებას ეკკლესიებზე. შესანიშნავია, რომ ბლაღოჩინების თხოვნას და განცხადებას ყარაულების დანიშვნაზე ყურადღებას არ აქცევენ. რა უნდა იფიქროს კაცმა? გაფუჭდა ხალხის ზნეობა, გამრავლდა ავაზაკები, ეკკლესიების მცარცველები! სპარსეთის შემოსევის დროსაც არ ჩაუდენიათ ისეთი საძაგელი საქმეები, როგორსაც ისევე ჩვენი ქრისტიანი ავაზაკები ჩადიან ეხლანდელ დროში.

Ჯართველობამ ფიცხელი ზომები უნდა იხმაროს და დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამისთანა საშწუხარო მოვლენათა, თორემ სულ უარეს და უარეს დროში მივდივართ და ბოლოს ძნელია იქმნება საქმის მიშველება. მთელს გორის მაზრაში არასოდეს არ გატეხილა ამდენი ეკკლესიები, რამდენიც ამ ცოტა ხანში გასტეხეს. ალბათ დიდი გროვა არის ავაზაკებისა და პოლიცია ფხიზლათ უნდა იყოს. რიგია, ენერგიულათ მიდგენ საქმეს, თორემ მარტო ქაღალდების მიწერ-მოწერით ქურდებს და ავაზაკებს ვერ მოსპობენ.

ბლაღოჩინი მღ. დ. ბარნაბოვი.

დათვალიერება მეტეხის ტაძრისა.

Ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, ყოველი მწვერვალი კავკასიის მთათა მაღლიდგან მოგვითხრობენ დიდებას სიონისას! ძველნი მონასტერ-ტაძარნი, რომელთაგან მრავალნი მტერს შეუმუსრავს, ეხლაც მთათ-სავანეთაგან გადმოჰყურებენ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას და უგზავნიან მას ლოცვას-კურთხევას და მოგვითხრობენ ჩვენი წინაპრების მხნეობას, ურთიერთ სიყვარულს და ძმობას... ჩვენი ხალხი, მხილველი ამა საყდართა, არ ივიწყებს მათ და დღეობასა მათთასა მრავლობით იკრიფება ამ ტაძრების გალავნებში შესავედრებელად ღვთისა და ამასთანავე არ იშურებს მცირეოდენსა მსხვერპლსაცა, რომელსაცა დაუკლავს ტაძართა წმიდათასა სამსხვერპლოსა ზედა აბრაამისათა. ერთი ამგვარი, სხვათა შორის, ძველი ტაძარი საქართველოში არის მეტეხის საყდარი ქ. თბილისში.

Ჩამოჩენილი და ჩინებული მამულის-შვილი ბახუშტი თავის გეოგრაფიაში (გვ. 188—191) სწერს მეტეხზე ასრე: „ისნს არს, კლდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა ციხესა შინა, მეტეხის ეკკლესია ღვთის-

მშობლისაა, გუმბათიანი, დიდ-შვენიერ-ნაშენი, საარქიმანდრიტო; შემუსრვილი აღაშენა 66 მეფემან დიმიტრიმ; 92 მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა და არს უქმად.“

ეს ტაძრის შენება დაწყებულა მეფობასა შინა დიდებულისა და ფალავანთ სწორისა მეფისა ჩვენისა ვახტანგ გორგ-ასლანისა ხოსროიანისა ძისა მირდატ მეხუთისა. დიდი ხნის მეფობა მისი (446—499 წ.) წარმოგვიდგენს ერთს საჩინო ხანს გრძელის ჩვენის ისტორიისას, საჩინოს თავის ძლიერებით, ხალხის სიმხნე-სიფხიზლით, ქვეყნის შენება-წარმატებით. ამ დროს, როგორც საქართველოს ნიადაგმა, ისე იერუსალიმ-პალესტინის სანახებთა იხილნეს უხვნი შეწირულებანი ქართველთაგან: აღსამართავად ციხე-ბურჯთა, მონასტერ-ტაძართა, გადმოსაღებლად სამშობლოსა ენასა ზედა იევრიელთასა სიტყვისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, მისანიჭებლად საქართველოის ეკკლესიისათვის თვით-მყოფელობისა ანუ ავტოკეფალობისა და დასაარსებელად მონასტერთა უბე-ზღუდეთა შინა სკოლათა ქრისტიანებრივად აღსაზრდელად ერისა ჩვენისა. აი, რა ნაირად გვიხატავს დაუღალავი და საკვირველი სიმხნითა თვისითა კათოლიკოზი ანტონი I ვახტანგის მეფობის დროს:

„ვახტანგ მგელ-ლომი, სიკისკას სიჩაუქით,
დამცემი ორთა გოლიათთა ჯვარითა,
მზე განმანათლი სამეფოსა თვისისა,
მღვდელ-მთავრობითთა, საყდართ მკაზმე-მაკეთი;
ვახტანგ სინდთა და სხვა-და-სხვა ბარბაროზთა
ზედ-განმხედრი, დამცემი კოსტანტინებრ,
მონარხოსა შემაერთი ბრძენ სიმხნით.
მფლობი კოლხიდით, ვიდრე ირკანიამდე,
მფლობი აზიურ სარმატიისა ყოვლისა,
ბრძენი, მხნე მეფე, განჭმსჯი მართლიად-მარად.“

ეს მეფე მისი ვაჟკაცობისათვის წოდებულ-იქმნა სპარსთაგან გორგ-ასლანად, ესე იგი მგელ-ლომად; მრავალთა შენებათა შორის მან ააგო ანუ, უკეთ ვსთქვათ, დაიწყო აგება დიდებულის ამა ჩვენი თბილისის ქალაქისა, რომელიც არს წოდებულ თბილისად ნაკადულთა მათ თბილის წყლებისათა, რომელნიც აღმოჩენილ იქმნენ ამ ადგილას მეფის ვახტანგისაგან, როცა ის ნადირობდა ტყეთა და ტევრთა შინა სანახებთა და მიდამოთა: მტკვრის მდინარისათა. ქალაქი ესე ვახტანგ აღმაშენებელმან გაჰყო სამ ნაწილად ანუ უბნად: კ ა ლ ი ს ა დ, თ ბ ი ლ ი ს ა დ და ი ს ნ ა დ (ავლაბარი). ამ ახალ ქალაქში ჩაჰყარა საძირკველნი ხუთთა წმიდათა ეკკლესიათა: ს ი ო ნ ი ს ღვთის-მშობლის მიძინებისა, მ ე ტ ე ხ ი ს ღვთის-მშობლის „ოდიგიტრიისა,“ გ ო ლ გ ო თ ი ს წმიდა ჯვრისა, ბ ე თ ლ ე მ ი ს ა, შემდეგ სომეხთაგან დასაკუთრებისა, წოდებული ვეთხაინად და წმიდა მ თ ა ვ ა რ-ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა მიქელისა, რომლის საძირკველსა ზედა, შემდგომად მტერთა შემუსრვისა, მე XVII საუკუნესა შინა, აღიმართა კარის-ბჭის წმიდა გიორგის ეკკლესია.

ქართული ლექსი მეტეხი წარმოსდგება ბერძნული ლექსისაგან „Μετοχ“, რომელიცა ითარგმნების ქართულად მეტოქი ანუ „კარი,“ „კარის-ბჭე.“ ღვთის-მშობლის მეტეხის ტაძარი დაარსებიდგანვე შეიქმნა მეტოქად მეფეთა და კათოლიკოზთა და მღვდელ-მთავართა ჩვენთა. ამას გვიმოწმებენ ძველნი გუჯარნი და სიგელნი ეკკლესიისანი. მეტეხად იწოდება აგრეთვე ერთი სოფელი ქართლისა, ესეც თვისის „ოდიგიტრიის“ ღვთის-მშობლის ეკკლესიით ეკუთვნოდა კათოლიკოზ-პატრიარქთა და იყო მათი მეტოქი *). ოდიგიტრიის ღვთის-მშობლის დღესასწაული დაწესდა, როცა საბერძნეთში მეფობდა თეოდოსი მცირე (408-450 წ.); დღესასწაული (დღეობა) კი ჩვენის მეტეხის ღვთის-მშობლის ტაძრისა დადგენილია დიდი-მარხვის მეხუთე კვირიაკის შაფათსა, დაუჯდომელობისასა.

ეს ეკკლესიის შეხედულება დიდებულია. მშვენიერი გუმბათი, რომელიცა სიძველისა გამო მოვარდნილია, მაგრამ პირვანდელის მსგავსად ხელ-ახლა გაუკეთებია თხემსა ზედა ტაძრისასა მეფე დიმიტრი თავ-დადებულს, რომელი ეწამა ქრისტესთვის მონგოლთა წინამძღოლის არღუნისაგან 1289 წ. ამ მეფემან, რომელიც იყო ღვთისნიერი, მოკრძალებით მოშიში, გლახაკთა და დავრდომილთა შემბრალებელ და შემწყალებელ, სხვაფრივაც განამშვენა ეკკლესია მეტეხისა და შესწირა მას შესამოსელნი კრებულისთვის და წმიდანი ჭურჭელნი.

შემდეგ დროში **) ეკკლესია მეტეხისა მოკლებულ-იქმნა სიტყვასა ღვთისასა. გამაჰმადიანებულმა მეფემან ვახტანგ მეხუთემ, შაჰ-ნაოზად წოდებულმან,

*) გუჯარი მცხეთის ტაძრისა № 405 და 212 მოგვითხრობს, რომელ „მცხეთის ტაძარსა ეკუთვნის თბილისში მეტეხის ღვთის-მშობლის ეკკლესია, ავლაბარი თვისის ტყით, ლელვის-ხევი თაბორის ეკკლესიამდის და ახალ-უბანი თბილისში ქალაქის გლეხებითურთ.“ (პ. იოსელიანი).

**) დაარსებიდგან თბილისისა, ვიდრე მეფობამდე როსტომისა (1634-1658 წ.) სასახლე მეფეთა იყო მეტეხის ციხეში და მეტეხის ტაძარიც ითვლებოდა სამეფო კარის ტაძრად. ხოლო მეფემან როსტომ ქალაქში აიშენა მშვენიერი სასახლე და მის შემდეგ ძველნი სამეფო პალატნი მეტეხისანი გაუქმდნენ და კარის ეკკლესიადაც შეიქმნა წმიდა გიორგის ტაძარი.

1661 წელსა ამა ეკლესიის მსახურნი გამორეკნა და მასში შეზიდნა წამალი და გაამსო სრულიად. მაგრამ განრისხებულმან ცამან წარმოჰსტყორცნა ეკლესიასა მეხი და დიდად დააზიანა. მაჰმადიანმან ხელ-ახლა შეაკეთა იგი და კიდევ წამალ-ხანად იხმარა. ამავე ყოფაში იმყოფებოდა ტაძარი მეფობასა შინა გამაჰმადიანებულის ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანისაცა, რომელმანც ეკლესია ციხითურთ გარდასცა სპარსთა. მხოლოდ ღერკულესმან, მამაცთა შორის საკვირველმან, პატარა კახმან ერეკლე II შემუსრნა სპარსნი, გაჰყარა იგინი საქართველოდგან და იხსნა მეტეხის ეკლესიაცა და მთელი ქვეყანაცა მტარვალთაგან. ამ ჩვენი მეფის სახელოვან მოქმედებას, სხვათა შორის, გვაუწყებს წარწერა ქვასა ზედა, რომელიცა ჩატანებულია მეტეხის ეკლესიის აღმოსავლეთის კედელსა შინა, გარეთით. აქ მნახველი წაიკითხავს შემდეგ წარწერასა:

,,მეფემ ერეკლემ ეს ციხე მტერთა წაართო მალადო,
აიღო ჯვარი ქრისტეს წინ მიიმძღვარა ფარადო,
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარადო;
ღვთის მოყვარესა ხელმწიფეს ასე ჰსჭირს ამის გვარადო;
ღვთის სადიდებლად, მეოხად მეფის ერეკლესია.‘‘

თუმც მეტეხის ეკლესია და მთელი ქვეყანაცა ცოტა არ იყოს განამშვენა მეფე ერეკლემ, მაგრამ არა დიდი ხნობით. ერეკლესაგან აღორძინებულს საქართველოს მალე ბოლო მოუღო საშინელმა მტერმა საქართველოისამ და მთელი კაცობრიობისამ აღა-მაჰმადმან. მან აიღო ტფილისი, რომელშიაცა პირქვე დასცა, თითქმის, ყველა შენობანი, გაცარცვა ტაძარნი და გასწყვიტა ყველა ქრისტიანენი, დაშთენილნი ქალაქსა შინა, რომელთაც ვერ მოასწრეს ქალაქიდამ გასვლა. გაცარცულ იქმნა აგრეთვე ტაძარი მეტეხისა. ამ დროს დაიკარგა ამ ტაძრის ძვირფასი ღვთის-მშობლის ხატი. ამის მაგიერ მეფის ძემ იულონმა და მისმა თანა-მეცხედრემ სალომემ, რევაზ ამილახვრის ასულმა, გამოუგზავნეს ტაძარს სანკტ-პეტერბურღიდგან ახალი ძვირფასი ღვთის-მშობლის ხატი.

რისაც კი ეს ტაძარი დაუთვალიერებია, არ შეიძლება არ შეენიშნა ეკვდერსა შინა ეკლესიისა საფლავი წმიდისა დიდისა და შვენიერისა შუშანიკასი, რომელიც წამებულ იქმნა თვისის ქმრის ვასკენისაგან, არანის მმართველისაგან (ბდეშხისაგან). ამ ვასკენმა შიშისაგამო სპარსთა მეფისა, მიიღო მოგვობა და სურდა, რომ თავის მეუღლისათვისაც მიეღებინა წარმართობა, მაგრამ შუშანიკი მტკიცედ იდგა სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა, და ვერაფერი საშუალებით ვასკენმა ის ვერ შეარყია სარწმუნოებაზე. მაშინ საშინელის წამებით აწამა თვისი მეუღლე 458 წელსა. განრისხებულმა ვახტანგ გორგ-ასლანმან თავისი ძლიერი მხედრობით დაიპყრო არანი, დაატყვევა ვასკენი და შიშთვილობა იგი; წმიდა სხეული შუშანიკასი*) წარმოასვენა და დიდის ამბით დაასაფლავა წორთაგში. როდესაც 586 წ. სომხის ეკლესია განუდგა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობრივს სარწმუნოებას, რომელიც აღვიარებულ იქმნა მსოფლიო კრებათაგან და წორთაგში (რომელსაც ჰგონებენ წურთავსა) დაინიშნა სომხის ეპისკოპოსი, მაშინ საქართველოს კათოლიკოსმა კირიონმა (სიმონ) განდევნა წორთაგიდგან მათი ეპისკოპოსი და სხეული შუშანიკასი აღმოიღო საფლავიდამ, მოასვენა ტფილისსა და დაასაფლავა ეკვდერსა შინა მეტეხის ეკლესიისა. მის დღესასწაულს ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 28 აგვისტოს.

ამ ეკლესიის ცოტა შორი-ახლოს, ციხის ძირში, ძველებურ დროს იყო ,,საგოდებელი‘‘ მეიდანი, საცა იმარხებოდნენ მკვდარნი ტფილისისანი. ეს ადგილი შესანიშნავია მით, რომ აქ 790 წელს არაბთაგან ეწამა გაქრისტიანებული სპარსელი აბო, რომელიც ქართველთა ეკლესიისაგან აღიარებულ იქმნა წმიდანად (დღეობა 8 იანვარს). მეტეხის გორის ძირში, კლდესა შინა, ახლაც არის მცირე ეკვდერი წმიდის აბოსი. ეს ეკვდერი განადიდა და განამშვენა თავადმა ვარშავისამან, გრაფმა პასკევიჩ-ერევნისამ და გაუკეთა კარები. სენატორმა საფონოვმა შიგ დასდგა დიდი ხატი წმიდანისა და გაუკეთა მინის კარები და ზედ რკინის მოაჯირი.

ციხე, წოდებული ,,ნარინ-ყალად,‘‘ რომლის შუა გულს მდებარეობს მეტეხის ეკლესია, იყო აშენებული ძველი დროიდგანვე. თუმცა მოგზაური შარდენი ამბობს, რომ ეს ციხე 1576 წ. ააგო ოსმალეთის სპასპეტმა მუსტაფ ფაშამაო, მაგრამ მას არ აუგია ის ციხე, არამედ ძველი და დანგრეული განუახლებია **). ესევე ციხე შეაკეთა და ზარბაზნებით გაამაგ-

*) საქართველოს ეკლესია შუშანიკს აღიარებს ასულად ქართველთ მეფისა, ხოლო სომხეთის ისტორია ამტკიცებს, რომ იგი იყო თავადის ვარდან მამიკონის ასული (ისტ. ჩამჩ. ტ. I, გვერ. 518).

**) ჩვენი მატიანეს მოთხრობით ეს ციხე გარემო თბილისისა არსებობდა მეფობასა შინა ვარაზ-ბაკურისა (372-393), რომლისაგან წყენინებულნი სპარსელნი შემოვიდნენ საქართველოსა და აღაოხრეს ქართლი, კახეთი, შაქი შირვანი, მაგარი ;მაგრამ დიდებული ქალაქი მცხეთა კი ვერ აიღეს; ამიტომ სპარსთა სპასპეტმან უბარაზ თბილისის მწვერვალთა ზედა ააგო ციხე, რომელსაცა უწოდა ,,შურის-ციხედ‘‘ და მასში ჩააყენა სპანი თვისნი შურის საგებლად მცხეთისა.

რა მეფე ერეკლე II. აქედგან მტკვარსა ზედა მალიდგან, დამყარებული ქვით-კირისა სვეტებზედ, იყო გადაკიდული ,,მეტეხის ძველი ხიდი'', რომელიც არსებობდა 595—514 წლიდგან, ვიდრე უახლოეს დრომდე. ხიდი იყო ხისა და, თუ საჭიროება მოითხოვდა, უცეფ შეეძლოთ აელოთ და მოესპოთ მტერთათვის საშვალება ციხეში შესვლისა.

Аხლა მეტეხის ციხეში გამართულია საპყრობილე და მეტეხის ღვთის-მშობლის ეკკლესიაც არის სამლოცველო ტაძარი პყრობილთა და უძლურთა სულითა.

სოფ. ბიწმენდი — მოსე ჯანაშვილი.

1884 წელსა.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

XI.

რა იყო მიზეზი, რომ ამ დროებში ასეთი წარმოუდგენელი წყურვილი აღეძრა ჩვენ ხალხსა მეცნიერებისადმი და წარმატებისადმი?

Არაბნი საშინელნი და ულმობელნი მტერნი ქრისტიანთ ერთა, მიივლტოდენ ყოვლის მხრიდამ იერუსალიმისაკენ დასაცველად პალესტინისა და მოსაგერებლად ჯვაროსნებისა, რომელნიც სცდილობდენ განეთავისუფლებინათ სარაცინთაგან (არაბნი) ყოველი ქრისტიანისთვის ძვირფასი საფლავი იესო ქრისტესი. თითქმის მთელი ევროპა მოასკდა მცირე აზიასა. ეს რომ გაიგეს სარაცინთა, დასტოვეს შორეული ქვეყნები და მივიდნენ პალესტინაში მტრისთვის გასასწორებლად. აი მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყანაც სრულიად განთავისუფლდა სარაცინთაგან, რომელნიც მცირეოდენად დაშთენილნი საქართველოში, მძლავრის მეფეებისაგან (ბაგრატ III, ბაგრატ IV *) და დავით III) სრულიად ამოწყვეტილ და განდევნილ იქმნენ საქართველოდგან. არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ ხსენებულთა მძლავრთა მეფეთა შეაერთეს მთელი საქართველო, ჩამოაგდეს ერთობა, ძმობა და მისცეს ხალხს შეძლება შინაური აღორძინებისა.

Ეს გარემოება იყო მიზეზად, რომელ ქართველთ აღმოიჩინეს შესანიშნავი ნიჭი თვით მყოფობისა და ისტორიული ცხოვრების შეგნებისა.

Ქართველნი შინაობაში რომ განმტკიცდენ, ახლა შეუდგნენ საქვეყნო საქმეს. ჩვენ ვამბობთ ქართველთა ჯარის მონაწილეობას ჯვაროსნების ომში. ორ-გზის ქართველნი წარემართნენ იერუსლიმისკენ, მაგრამ ერთჯერ შავმა ზღვამ იმსხვერპლა ქართველნი ჯვაროსანნი, ხოლო მეორედ იბრძოლეს მტერთა ზედა ევროპიის ჯართან ერთად. ამით არ იკმარეს ქართველთა. ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელნი მეფეების (მეტადრე დავით III-ის) მოთაოსნობით შეუდგნენ ბრძოლას მრავალთა მწვალებელთა სწავლასა და მტერთა ქრისტესთა.

Როდესაც პალესტინა და, საზოგადოდ, მთელი მცირე აზია ბრძოლის ველად გადაიქცა და ყველას ყურადღება მიქცეული იყო ქრისტეს საფლავისადმი, მაშინ გამოჩნდნენ მრავალნი ცრუ-მასწავლებელნი, რომელნიც თავისებურად ხსნიდნენ სჯულსა ქრისტესსა. აი ამათ წინ აღუდგა დავით III. დავითმა მოახდინა სასულიერო კრება *) და განწმინდა ქვეყანა მრავალთა ქრისტეს სჯულის წინააღმდეგთა სწავლათაგან. დავითმა ბრძოლა გაუმართა აგრეთვე მონოფიზიტურ სწავლას სომხის ეკკლესიისას და როდესაც სომეხთა წინააღმდეგობა აღმოუჩინეს, თვისის ძლევა-მოსილის ჯარით შევიდა სომხეთში, აიღო სატახტო ქალაქი ანი, **) სადაც მოახდინა სასულიერო კრება განათლებული კათოლიკოზის იოანეს თავმჯდომარეობით და იყალთოს განათლებულის ეპისკოპოზის არსენის, ეფრემ მცირის და იოანე ტაიჭის თანადასწრებით. ამ კრებას უნდა შეერიგებინა სომეხ-ქართველთ ეკკლესია და სომეხნი დაეყოლია ჩვენი ეკკლესიის მისაღებად. მაგრამ ეს კრება და აგრეთვე შემდეგში (1147 წ.) კონსტანტინეპოლის კრებანი უნაყოფონი გამოდგნენ, რადგან სომხის ხალხი ღრმად იცავდა გრიგოლ განმანათლებლის ტახტსა და სწავლასა.

---

*) ამან აღაშენა ქუთაისის, აწ შემუსვრილი, ტაძარი და აგრეთვე იერუსალიმის ტაძრებსაც შემწეობა აღმოუჩინა, მეტადრე ჯვარის მონასტერსა. სახე ბაგრატის გამოსახულია იერუსალიმის მონასტრის კედელზე.

,,ბაგრატ მეოთხე, ძე გიორგი პირველის,
მეფე აფხაზთა, მშვენიერ მორფ-ნაკვეთით
ფილოსოფოსი, ბრძენი ქრისტეს მოყვარე,
კესარის მეზახლე, კურაპ-პალატ სევასტის,
შეწუხებული ომთა, არ განუცდელ მხედარი.
ამისსა დროსა მეფობითსა განბრწყინდეს,
გიორგი დიდით, ღუთივ-მეტყვ-ფილოსოფოსნი,
გარნა ქართველნი, სოფლის კიდეთა მნათნი''.
(იხილე წყობ. სიტყ. მუხლ. 568 და 569).

*) ეს კრება მოხდა რუისს (ზოგი ჰგონებს მცხეთას). ამ კრებამ განიხილა შვიდთავე მსოფლიოთა კრებათა გარდაწყვეტილებანი და დამტკიცა უცვლელად მათი აღვიარება ,,თვინიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა''.

**) დავითმა აქ მყოფობის დროს ააშენა დიდი საკრებულო ეკკლესია, რომელზედაც არის მრავალი ქართული წარწერა.

ჩასასრულ ჩვენ ვიტყვით, რომ მეფე დავითი III მოღვაწეობდა ქართველთა ივერიის, იერუსალიმის, *) სინაის, კვიპრის მონასტრებისთვისაც, რომელთაც შესწირა დიდი განძეულობანი. წმ. სინაის მთაზე მან ააშენა წმ. ეკატერინეს ტაძარი და დასვა იქ მიტროპოლიტი. დავითმანვე ააშენა ტრაპეზუნტს მონასტერი, დიდი ლავრა, სახელსა ზედა სუმელის მონასტერი, რომელსაცა შესწირა მამულნი და სხ. შემოსავალნი; აგრეთვე ააშენა ეკლესია ალევს და ლომსიას (დუშეთის მხარეს), მოქვს, ნათლის-მცემლის უდაბნოს ყარაიას, მარტო-მყოფისა ანტონისა, კავთისხევის მონასტრის საკრებულო ტაძარი, გორის ქალაქი და მრავ. სხ.

დავითი აღესრულა **) 1125 წელსა 24 დღესა ქრისტესით. მრავალთა მოღვაწეობათათვის, მამულის მტერთაგან სახელოვანად დაცვისა და განთავისუფლებისათვის, აღშენებისათვის ეკკლესიებისა, მონასტრებისა, ქალაქებისა და ციხეებისა მეფე დავითი წოდებულ იქმნა აღმაშენებლად და წმიდანად შერაცხილ. დღეობა 26 იანვარს.

მოსე ჯანაშვილი.

---

*) წმ. იერუსალიმს არიან მონასტერნი ქართველთანი ხუთნი. ჯვარისა ვახ. გორგასლანისაგან; ჯვარის მამისა ქალაქის ბჭეში; წმ. მოციქ. იაკობ ძმის უფლისა; წმ. იოანე მახარებელისა დედათა მონასტერი; წმ. ნიკოლაოზის მონასტერი; დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა. ყველა ეს მონასტერნი, რომლებშიაც მრავლობით დაცულ და შენახულ არიან ქართულნი ხელთ-ნაწერნი წიგნნი, ეხლა ჟამთა ვითარებისა გამო უპყრიათ ბერძენთა, ლათინთა და სომეხთაცა.

**) იქმნა დასაფლავებული მეფე ესე დავითი გაენათის მონასტრის სამხრეთის შემოსავლის კარის ბჭესა ქვეშე. შემდეგში, როდესაც შერაცხილ იქმა წმიდათა შორის, მაშინ მისი გვამი მოწიწებით აღმოასვენეს და წმიდა ნაწილნი მისნი დაკრძალეს გაენათის საკრებო ტრაპეზსა ქვეშე. საფლავის ქვა საფლავისავე ადგილსა დაუტევეს. აქ ქვის სიგრძე 4 არშინი და 6 ვერშოკია, სიგანე 1 არშინი და 12 ვერშოკი. ზედ არის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს:

,,როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს;
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს.
აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს''.

წმიდისა ამის და განათლებულისა მეფისაგან დაგვშთა: ,,გალობა სინანულის'' და ,,ანდერძი'', რომელშიაც, სხვათა შორის მოხსენებულია შემდეგი: მივეც (შვილსა დიმიტრის) დროშა ჩემი სვიანი და აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქვემონი; ხოლო დრაკანნი კონსტანტინე ღუტას, ხოლო ჩემნი ალალი და თუალ-მარგალიტნი ხახულის ღუთის-მშობლისად შემიწირავს, ხოლო დუკატი და ბოტენატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებული...''

ნიკოლაოზ ტფილელი ამბობს წმ. დავითზე:

,,ოქრო ნილოსიდ, მრწყველ-სიბრძნით ქართველთა
ღრმათ გამომეტყუჳ, კაპანთ-მინდორ-მყოფელი.
მესხთა მთიები, იმერთა მთოვარე;
მზე გურიულთა, უდიმართა ცისკარი;
სვანთა, აფხაზთა ლიფლიფი, კახთ ნათელი.''

ნეკროლოგი

ამ თვის რვას, ღამით, 11 საათზე, ქ. ქუთაისში ხანგრძლივი და სასტიკი ავათ მყოფობის გამო გარდაიცვალა იმერეთის ეპარხიის კანცელარიის სეკრეტარი, კოლლეჟსკი ასესორი თეიმურაზ გოგისაძე ლეჟავა, 42 წლისა მობიდამ. სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და სემინარია გარდაცვალებულმა შეასრულა იმ დროს, როდესაც ამ სასწავლებლებში სუფევდა უკიდურესი სიღარიბე. თფილისის სასულიერო სემინარიაში კურსი შეასრულა 1867 წ. სემინარიის კურსის გასრულების შემდეგ დაინიშნა მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მისი წლიური ჯამაგირი არ აღემატებოდა თუთხმეტ თუმანს. ორი-სამი წლის შემდეგ ის დაინიშნა იმერეთის ეპარხიის კანცელარიაში სეკრეტრად. უკანასკნელ დრომდისინ იქაც ცოტა ჯამაგირს იღებდა და ამ ბოლოს დროს, ახალი შტატის წყობილებით, წელიწადში იღებდა ათას მანეთამდე.

ყმაწვილობის დროს ღარიბულ ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა მის ტანის სიმრთელეზე. ის თითქმის სასწავლებელშივე დასნეულდა ფილტვების ავათ-მყოფობით; მისი სამსახურიც ამ სნეულებას თუ უმატებდა, თორემ არ უკლებდა.

ყმაწვილობის დროს ყველა ამხანაგებისათვის საყვარელი მეგობარი იყო. ეს თვისება მთელ თავის სიცოცხლეში არ დაჰკარგვია მას; დიდთა და პატარათა, ნასწავლთა და უსწავლელთათვის განსვენებული იყო საყვარელი კაცი. ეს სიყვარულობა დაიმსახურა მან თავისი რბილი და ტკბილი ხასიათით, მაგრამ მისი ტანმრთელობისათვის ამ ხასიათს ვნების მეტი არა მოუტანია-რა.

სამღვდელოებამ დაჰკარგა განსვენებულში როგორც ეპარხიის კანცელარიის სეკრეტარი, ისე კეთილ სინიდისიანი მრჩეველი და გაჭირვების დროს შემწე და მომხმარე. ჩვენ არ გვგვიგონია ჯერეთ, რომ ეპარხიის კანცელარიის სეკრეტარს ერთსა და იმავე დროს დაემსახურებიოს მთავრობის რწმუნებაც და მთელი სამღვდელოების და საზოგადოების სიყვარულიც, როგორიც განსვენებულმა დაიმსახურა.

ორი სამი წელიწადია, რაც განსვენებული ნამეტნავად დაიგდო ავათმყოფობამ. ერთი თვე რომ ემუშავნა განსვენებულს, ერთი თვე საწოლში უნდა ყოფილიყო ჩაწოლილი.

კანცელარიის საქმე ამას არ ითმენდა და ეს უმეტესად აწუხებდა მას. ეს იყო მიზეზი, რომ ამ ერთი თვის წინეთ მან თხოვნა შეიტანა და სამსახურიდამ სულ გამოვიდა, თუმცა სამსახურიდამ გამოსვლაზე არავინ არ აიძულებდა მას.

შემდეგ გარდაცვალებისა მას რჩება ვალები, კეთილი და ტკბილი მოგონება თითქმის მთელი საზოგადოებისა როგორც სასულიეროსი, ისე საეროსი.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება ყველასთვის ტკბილად მოსაგონარო, განსრულო ამ ქვეყნიდამ, თეიმურაზ.

არხეოლოგიური ცნობები ფინიკელებზედ.

II

(გაგრძელება).

ფინიკელთ თუ ტირიელთ საღმრთო წერილი ზოგან უფრო ქანანელებად იხსენებს ქანანის ჩამომავლობისათვის: ,,ხოლო ქანან შვა პირ მშო თვისი სიდონ და ქეტელი და იებოსელი, ამორეველნი და გერგესელი და იევეა და იარუზია და ასენია და იარადია და სამარია და ამათიუ და შემდგომად ამათსა განითესნეს ტომნი ქანანელთანი“. *) — აგრეთვე შემდგომ: ,,და ამალეკი მუნ დამკვიდრებულ არს ქვეყანასა მას სამხრეთ კერძო და ქეტილი იგი, და ევეელი და იობოსელი და ამორეველი დამკვიდრებულ არს მთით კერძო და ქანანელი იგი მკვიდრ არს ზღვის კიდესა“. **)

ეს სიდონელნი ჩამდგარიყვნენ დასავლეთით ევეელთა (ხეველთა): ჩრდილოს დასავლის მხარეს ლიბანანის მთათ ჩრდილო კალთობზედ მოსახლობდნენ არაგეელნი და სინიელნი; დასავალს ზღვის პირობსა არადელნი თუ არვადელნი: აღმოსავლეთის ჩრდილოდ ლიბანანისა სამარელნი და ორონტ მდინარესთან ქამათელნი. ამათ ბერძნებმა და რომაელებმან ფინიკელნი უწოდეს და თვითან ქანანელებად ამზობდნენ თავიანთ მოდგმასა, როგორც სჩანს მათი ფულის ზედ-წარწერისაგანაც. ესენი მიწა წყლის უქონელობით რომ შესჭირდნენ სიდონელთ და ტირიელთ (სურიელთ) პირობა შეჰკრეს ერთი ერთმანეთთან, მიიერთეს არადელნიცა,ააშენეს აფრიკის ზღვის პირად ტრიპოლი და იწყეს საზოგადოებრივი მმართველობით შინაგანი და გარეგანი მართვა, თავიანთ თავი ქალაქებისა ვაჭრული ამღებ მიმცემლობითა, ამათ თავ-ქალაქების მოთავეთ ეწოდათ სოფესეთ (მეცნიერი), ამათ ჰყავდათ მოსამართლენი მოხუცებულთაგან და ქურმებიცა ასტარეტ კერპისა, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ მთავრებზედ, მსაჯულებზედ და საზოგადო ხალხზედაცა. ფინიკელების ზღვა-ხმელეთის ძალა შესდგებოდა უფრო გარეშე მეომარ ტომთაგან, სადაც ვაჭრობით ფეხი ჩადგმული ჰქონდათ, ჰკრეფდნენ ფულით ქვეითთა თუ ცხენოსან მხედრობათა და ეგრეთ ავრცელებდნენ გარემოს აფრიკაში თავიანთ ვაჭრულ მფლობელობასა!

ამათ, სხვათა შორის, ჩვენს კავკასიაში რომ ფეხი შემოსდგეს, ჯერ მიითვისეს ჩვენი ტომ-მოდგმობა ვაჭრულის ნივთეულობის და ჭურჭელ საჭურველთ იეფ ფასად გაცემითა, ასე ნელ-ნელა ყოველი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე მოსავალი, ჭინახული, მოგება ერთიან თვითან ჩაიგდეს ხელში, რა გაუჭირდათ ქართველ მესხთა განუდგნენ, უნდოდათ ერთიან ამოჟლეტა ფინიკელთა ანუ განდევნა ჩვენის ქვეყნისგან: მაშინ ტკბილობით მიითვისეს ასე ჩვენი წინაპრენი, რომ გაუჩინეს მმართველად თავიანთივე მამასახლისნი ხევის ბერები, მოსამართლე და ქურუმები, მართლა ჩვენს მამამთავართ ჰაოსა, ქართლოსა, ბარდოსა, მოვაკანსა, ჰეროს, ლეკოს, კავკასოს და ეგროს დიდი მსგავსება აქვსთ ფინიკის მახლობელ ტომ მოდგმათ სახელებთან: ჰაოს ჰეველებთან, ქართლოს კარდოსთან, ლეკოს ამალეკელებთან, კავკასოს კერკასორთან ეგვიპტისა, ეგროს ნეგრებთან, ამას ამტკიცებს შემდეგის ფაქტითა ჩვენი ქართლის ცხოვრებაცა: ,,ესე თარგამოსიანნი იყვნეს მას ჟამსა შინა მშვიდობით სიყვარულსა ერთმანეთისასა, ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურძუკ ძე ტირიეთისა“. *) ჩვენს ქართლის ცხოვრების ხაზარნი, არიან არიანები და უფლობა ტირეთის ძის დურძუკისა თუ ძურძუკისა, არის მფლობელობა ტირიელთა; რადგან დღესაც არიან ფინიკის მოსაზღვრედ დურძუნკი (დურზნი) თავიანთ მოსახელე მთებში მკვიდრნი!

ამ ფინიკელებმან არა მარტო მოთავე კერძო პირებს, მამასახლისთ და ქურმებს, მისცეს თავიანთ წოდება, არამედ იგივე თემ მაზრებსაც შეასაკუთრეს თავიანთ ტომების სახელები; როგორც კესარიის მხრის მცხოვრებ მესხთა უწოდეს არადელნი და რადგან ალიზის მდინარი მათში იყო მით დაუმატეს წინ დებული კავშირი რომლით გარდაკეთდა წოდება ალაროდელად, გასარჩევად ფინიკელ არადებისაგან: მცხეთის შეყოლება ხეობაში მცხოვრებთ და კავკასიის გადაღმა ხეველთ უწოდეს არაგველები, რომ შემდგომ ის წოდება მდინართ დარჩათ სახსოვრად.

*) შესაქმის X. 15, 16, 17, 18.

**) რიცხვთა XIII. 30.

*) ქართლის ცხოვრების 22 გვერდი.

კავკასიის იქით პირს მცხოვრებთ გერგესელნი, სითგანაც არის ნამდვილი ლექსი ჩერქესელნი!

ა. ესრეთი დანაშთი ძველის ძველი ისტორიული ფაქტები შეუძლებელი იყო, რომ მარტო ზეპირ გარდმოცემით დაშთენილ იყო ჩვენში; თუ რომ ჩვენ წინაპართ წერა-კითხვა არ სცოდნიყოთ, როგორც დღეს დაუწერავი შემთხვევა მოთხრობები ივიწყება, იკარგება, მიდის, ერთვის ბნელ დავიწყების უფსკრულსა, არა თუ ასი წლისა, ათასისა და ორი ათასი წლის საქმეები, არამედ 20, 40, 60 წლის საქმეები და ისტორიული მასალებიც მასთან, ჩვენდა სამწუხაროდ, იკარგებიან.

ბ. თუ ჩვენი ტომობა დასაწყისითგანვე ფეხ მოუცვლელად კავკასიის მკვიდრნი მცხოვრები არ ყოფილიყვნენ, არ დაშთებოდა ჩვენში ამ გვარი ძველის ძველი არხეოლოგიური სახსოვარნი და ვერცა რას შევიძლებდით ანატოლში ჩვენის მფლობელობის გავრცელებასა ვერას ოდეს, როგორც სჩანს ვანის, ჰასანყალის და ეფრატის ლურსმნულს წარწერაებითგან *) და მთა, მდინართ, სოფელ დაბებთ და ქალაქების წოდებითგანაც **). აი რასა სწერს ამაზედ: ,,ადგილებრივი ლურსმნული წარწერილებანი, რომელიც ჰაოსიანურად მიღებულია, მე მინდა გაჩვენოთ თქვენ თუ ამაში რა შეცთომილება არის? მე ვამბობ, ეროდოტის თანხმად გაბედვით, რომ ალაროდიული არის და არა თუ ჰაოსიანური‘‘!... ,,სასომხეთოს წარწერილებანი ყველაზედ უფრო ცხადად ქართულს ეახლოებიან, რამდონადაც შეუდევგი მე ამის გამოკვლევას, იმედი მაქვს, რომ უფრო გარჩევით და მრავალის ფაქტებით ვაჩვენო მე ეს! ხოლო რეერთიც არის (წიგნობრობა) ღრამატიკა ძლიერ ემსგავსება ქართულს ლურსმურთა, ეგრედ არ შეგვიძლია უარის-ყოფა, რომ მის ლექსებში არიული კავშირნი მფლობელობენ... ყველაზედ საკვირველი ეს არის, რომ სასომხეთოს ლურსმნული წარწერაების ენა, სრულიად გარჩეულია და დაშორებული სომხურისაგან. ის ერი ყოფილა თავისუფლად მფლობელი იმ ქვეყნისა, ქრისტეზედ მეექვსე საუკუნოების წინადაც, რომელსაც ის ლურსმნული წარუწერია, სრულიად არა ჰქონია არა ვითარი დამოკიდებულობა ჰაოსიანებთან, როგორც ტომობით, ისე ენითაც სრულიად დაშორებულია!‘‘ ***)

გ. ჩვენს ენაზედ რომელსამე ტომთ ენების კავშირთ თუ ზედ მოქმედება უქონებია, როგორც ფინიკელთა, ეგვიპტელთა, ბაბილონელთა, არიელთა და სხვათა, იმას ხომ არ ნიშნამს, რომ ჩვენ იმ ტომებისაგანი ვიყოთ, ან იმათგან მოსული და დაშთენილი კავკასიაში, არა; არამედ იმას ამტკიცებს, რომ ყოველ იმ დროინდელ განძლიერებულ ტომთ მოუნდომიათ ჩვენი შეთვისება, დამონება და ან მოსპობა ამოწყვეტა ქვეყნის პირითგან; გარნა თვითან დამარცხებულან, ამოჟლეტილან, მოსპობილან ქვეყნითგან და ჩვენ კი შეურყევლად და მკვიდრად დავშთენილვართ ჩვენს საყვარელს ტკბილს სამშობლო მამულის მიწა წყალზედა!

ვინმე მესხი.

*) ლინორმანის ლურსმნულ წარწერათ ახსნა. 1.

**) Strabon XIII lib. ვივიენ სენ მარტინის გეოგრაფ. 188 გ.

***) იგივე ლენორმანისა...

ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

,,მწყემსი‘‘-ს მე-17 №-ში ჩვენ დავბეჭდეთ რამდენიმე სიტყვა, რომელიც საკმაოდ ამტკიცებდა ჩვენი კორესპონდენტების ზოგიერთ შემცდარ აზრს შესახებ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის მოქმედებისა გალობის აღდგინების შესახებ. ამ საქმის შესახებ ჩვენ კიდევ მივიღეთ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესაგან ,,მწყემს‘‘-ში დასაბეჭდათ, სიმართლის აღდგინებისათვის, სტატია, რომელიც შესდგება ხუთი მუხლისაგან, ხუთი კითხვის ასახსნელად. ეს სტატია თვითონ ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელით არის დაწერილი. აი სიტყვები თვით ყ—დ სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსისა:

,,1) მე არა თუ წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისა, არამედ, საქართველოს ქრისტესის ნება დართვით, მე თვითონ ვცისრულობ ქართული და კახური კილოს საეკკლესიო გალობის აღდგენას ჩემის ხარჯით, რაც კი მოუნდება ამ საქმეს.—

2) მე არასოდეს არ ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოს გალობისა, არამედ ვამბობდი და ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა კარგია თავის სამშობლოში, გურიაში, ხოლო საქართველოში (ქართლში და კახეთში) გურული გალობა ვერ მოიდგამს ფეხს, როგორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ. ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა არ შეიძლება დამყარდეს, გავრცელდეს საქართველოში ამისათვის, რომ გურული გალობა, როგორც იმერულიცა, განსხვავდებიან ქართული გალობისაგან, როგორც კილოთი, ისე ხასიათით.— რუსეთში არის ორი გალობის კილო, დიდი როსიული—ანუ მოსკოვისა, პატარა როსიული — ანუ კიევისა. სწორეთ

ესევე არის ჩვენ საქართველოშიაცა, არის ორი კილო: კილო ქართული — ანუ ქართლური და კახური, იმერული და გურული კილო.

3) მე არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული საეკლესიო გალობის აღსადგენი კომიტეტის წინააღმდეგი, მაგრამ მე კერძოთ არა მსურს ვიქმნე წევრათ, ანუ თავსმჯდომარეთ კომიტეტისა.

4) ფულები შეკრებილია ხელმოწერილი წიგნით, ქართული გალობის დასაწყებლად სასწავლებელში და არა ნოტებზე გადასაღებლად, და იმერლებისა და გურულების საზიაროდ და მათთან გასაყოფად.

5) სიტყვა „ქისიყი“ და „ქისიყური გალობა“ სასცინოდ არიან ხმარებულნი „მწყემს“-ში. მე მხოლოდ ის ვსთქვი რაპორტში ეკსარხოსისადმი, რომ გალობა მამა გრიგორი კარბელოვისა იციან კარგად მრავალთა სიგნახში ანუ სიგნახის მაზრაში, სადაც განსვენებული კარბელოვი ასწავლიდა რამდენიმე ხანი. სიტყვა „ქისიყი“ სრულებით არ მიხმარია. საზოგადოდ ყველა ესეები არის მხოლოდ ინტრიგობა და გამოგონებულნი აზრნი უცნობი ავტორისა, რომლის ინტრიგებითა და უმართლობითა იყო შეყვანილი შეცდომაში სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“ და მისი რედაქტორი, ვინაიდგან განურჩევლად და გამოუკვლევლად იბეჭდებოდნენ ეს სტატიები „მწყემსის“ სვეტებზე ამა წლის ივლისში და აგვისტოს თვეებში №№ 13, 14 და 15-ში.

გულითად მადლობას ვუძღვნით პატივცემულ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ამ პასუხის გამოგზავნისათვის. მართლა, ზოგიერთი მკითხველები ხსენებული კორესპონდენციებისაგან ეჭვში იყვნენ შეყვანილნი, მაგრამ ამ პასუხის შემდეგ ყველა ადვილათ მიხვდება, თუ რა უსაფუძვლოთ ეხებოდნენ ეს კორესპონდენტები ყოვლად სამღვდელოს მოქმედებას და ღვაწლს საეკკლესიო გალობის აღდგინების შესახებ.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

დაბა შორაპანში, შორაპნის ნათლის-მცემლის ეკკლესიაში, მოინათლა ადგილობრივი მღვდლისაგან ერთი თათრის სარწმუნოების კაცი ასუმ-ქაზუმ-ოღლი, რომელიც დაბადებიდამ ოცდა თოთხმეტი წლისა არის. სახელად დაარქვეს მას სიმეონი. მიმქმელად იყო შორაპნის მაზრის უმფროსი პოლკოვნიკი ივანე ეფიმოვსკი. ეს თათარი ქართულად კარგად ლაპარაკობს და კარგი ხასიათის კაციც ყოფილა, როგორც ყველა მისი მცნობნი ამტკიცებენ. ძლიერ კარგი იქმნება, რომ მთავრობა ამისთანა პირებს ცოტა სახელმწიფო ადგილს მისცემდეს და აქვე ჩვენში დაასახლებდეს.

*
* *

11 ამ თვეს წაასვენეს ქუთაისიდგან გარდაცვალებული თეიმურაზ ლექავა. დილის ცხრა საათზე ყოვლად სამღველლო მრავალი სამღვდელო პირთა თანადასწრებით მიბრძანდა გარდაცვალებულის ბინაზე; მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ მიცვალებული მოასვენეს სობოროში. იქ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა სწირა და ნაწირევებს წესი აუგო მრავალი სამღვდელო პირების თანადასწრებით. თორმეტის ნახევარზე გარდაცვალებულის გვამი მოასვენეს ქუთაისის რკინის გზის ვაგზალზე. საზოგადოება მრავალი დაესწრო ეკკლესიაში და კიდევაც გამოჰყვა ვაგზალზე. ყველაში შენიშნავდით გულ-წრფელ მწუხარებას განსვენებულის დაკარგვისა გამო. ქუთაისიდამ ყვირილის ვაგზალზე მოასვენეს გარდაცვალებულის გვამი. აქაც მრავალი ხალხი დახვდა განსვენებულს და გაჰყვა სახლამდის. აქ მწუხარების სურათს ვერ აღწერს კაცი; წარმოიდგენთ ავათ-მყოფი და მოხუცებულის დედის მდგომარეობა, რომელსაც თავისი საყვარელი შვილი კუბოთი მიაყენეს და რომელსაც შვილის სიკვდილი არც კი შეუტყვია. სამეტ ამ თვეს სხვა-და-სხვა სოფლებიდამ მოვიდნენ მონათესავენი და ნაცნობნი და გაასვენეს გარდაცვალებულის გვამი ცხრა-წყაროს ეკკლესიაზე. ამ დღეს, საღამოზე, დაბარებისა მებრ გარდაცვალებულისა, მისი გვამი დაასაფლავეს თავის მამის საფლავის გვერდით ცხრა-წყაროს ეკკლესიის გალავანში. სახლიდამ გამოსვენების დროს თ. ი. აბაშიძემ წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე შესხმა, რომელსაც შემდეგ №-ში დავბეჭდავთ.

*
* *

ხუთი სეკდემბრისთვის კიევში დანიშნული იყო კრება ეპისკოპოსთა; ეპისკოპოსები კიდეც შეკრებილან, როგორც ტელეგრამებმა გვაცნობეს. ამ კრებაზე მოსულან შემდეგი ეპარხიის ეპისკოპოსები: კიევის, პოდოლის, ვოლინსკის, ხერსონის, პოლტავის და ჩერნიგოვის ეპარხიათა. ამ შეკრებილებაზე თავს-მჯდომარედ არის კიევის მიტროპოლიტი პლატონი. ამ კრებაზე ბრძანდება სინოდის ობერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი. ამ კრების საგანი უმთავრესად მღვდლების მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეა და ზომების გამოგონება, თუ როგორ ეწინააღმდეგონ ერთ-ნაირ სეკტის შტუნდის გავრცელებას, რომელიც ამ ბოლო დროს თან-და-თან ვრცელდება ზემო მოხსენებულ გუბერნიებში. სულიერ სნეულებას სულიერი ექიმობა უნდა და, თუ ამ ადგილებში ეს უკანასკნელი ღონე არ იხმარეს, შტუნდის სეკტა კიდევ გავრცელდება...

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

მკვდარ-ცოცხალი.

(მოთხრობა გრაფი მ. ტოლსტოისა.)

რუსულიდგან.

ქ. ნიჟნი ნოვგოროდიდგან მოსკოვში დაბრუნების დროს, რკინის გზაზე, ვლადიმირის სტანციის ერთს კუნჭულში მე შევნიშნე ბერი, რომელიც ყურადღებით კითხულობდა ლოცვნის მსგავს წიგნს. მოხუცის სახე ძლიერ შესანიშნავი იყო. ჭაღარა თმა და თეთრი თოვლივით წვერი თითქო ეწინააღმდეგემოდნენ მის დიდს შავ თვალებს და ცოცხალ ახალგაზდურ შეხედულობას. როდესაც გაათავა კითხვა და შეკეცა წიგნი, მე მიუჯექი ახლოს და მის სიტყვებიდგან შევიტყვე, რომ ის იყო მღვდელ-მონაზონი გ..... აღმაშენებელი საზოგადო საცხოვრებელი—უდაბნოისა, მიდის პეტერბურგში ამ საქმის შესახებ, რომ იგი ბერათ არის უმეტეს ოცდა ათის წლისა, ხოლო წინეთ ყოფილა ლეიბ გვარდიის მე-X პოლკის აფიცრათ.

—როგორ მოხდა ეს, რომ ლეიბ-გვარდიის აფიცრობიდგან ბერათ შემდგარხართ? ვკითხე.—ალბათ თქვენს ცხოვრებაში რაიმე შესანიშნავი მოხდა.

—დიდის სიამოვნებით გიამბებდით მოთხრობას ჩემს ცხოვრებაზე, ანუ, უკეთ ვსთქვათ, იმ ღვთის მოწყალებაზე, რომელიც მე ცოდვილს გადმომევლინა, მაგრამ ჩემი მოთხრობა ძლიერ გრძელი იქნება. მალე კიდევაც დარეკენ და ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ჩვენ ხომ სხვადასხვა ვაგონებში ვზივართ.

მე გადავჯექი ჩემ მესაუბრის ვაგონში. ჩვენდა საბედნიეროთ, იმის ვაგონში ჩვენს მეტი არავინ იყო და მან მიამბო შემდეგი:

სამწუხაროთ და სასირცხოთ მიმაჩნია მე ჩემი წარსულის მოგონება — ასე დაიწყო მ. გ—მ. მე დავიბადე გამოჩენილ და მდიდარ ოჯახში. ჩემი მამა იყო გენერალი ვ; დედა კი თავადის ქალი გ. მე შვიდი წლის ვიყავი, როდესაც მამა ჩემი მოჰკვდა ლეიპციგის ომში ჭრილობით; დედა კი უფრო წინეთ გარდაცვლილიყო. უდედმამო ობლათ დავრჩი აღსაზრდელათ ჩემი ბებიის კნ. გ—ეს ხელში. მან მომიძებნა მასწავლებლათ ერთი ფრანცუზი—რესპუბლიკანელი, რომელიც სიკვდილით დასჯას დაძრომოდა ხელიდგან. მას არაფერი ცნობა არ ჰქონდა ღმერთზე, სულის უკვდავებაზე და ადამიანის ზნეობითი მოვალეობაზე.

—რას ვისწავლიდი ამ გვარ მასწავლებლისაგან?

—ფრანცუზულათ ლაპარაკს, პარიჟული კილოთი ხელოვნურად თამაშს და საზოგადოებაში კარგათ თავის დაჭერას,—მეტს არაფერს.

ერთი სიტყვით უყველაზე თქმა ახლა სასირცხოთ მიმაჩნია. ბებია ჩემი ძველებური ხასიათის ქალი იყო, მაღალის წრისა და სხვა ნათესავებიც მეალერსებოდნენ, მაგრამ ერთსაც არ მოსვლია ფიქრათ, თუ რამოდენი სამწუხარო გარყვნილება და ყოველ-გვარი უდროვო სისაძაგლე იმალებოდა ჩემში.

როდესაც თვრამეტი წელი შემისრულდა — იუნკერი ვიყავი გვარდიის პოლკში და მებატონე ორი ათასი სულისა; ბიძი ჩემის მზრუნველობის ქვეშე ვიმყოფებოდი. ბიძა ჩემი იყო ტყუილად ფულის მფანტველი და მეც მიმაჩვია ამ გვარ ხელობას. ამ პოლკში ჩქარა გავხდი კორნეტათ. ორი წლის შემდეგ დავინიშნე ერთს მშვენიერს და იმ დროის ლამაზ თავადის ქალზე. ახლოვდებოდა გვირგვინის კურთხევის დროც. მაგრამ ღვთის განგება სულ სხვა ბედს მიმზადებდა. სჩანს რომ ჩემი სული შეებრალა უფალს...

რამოდენიმე დღის წინეთ ქორწინების შესრულებისა, თუთხმეტ ენკენისთვეს *** წლისა, მოვდიოდი სასახლის საყაროულოდგან შინ. დღე იყო მშვენიერი. ჩემი თოხარიკი ცხენი გავგზავნე და მე ქვეითათ წაველ ნევის პროსპექტზედ. ძლიერ მოწყენილი ვიყავ. რაღაცა უცნაური მწუხარება მიხუთავდა გულს, რაღაც ბნელი წინასწარ გრძნობა მიძნელებდა სულის თქმას. გავიარე ყაზანის სობოროს ახლოს და შეველი შიგ. ეს პირველათ იყო დაბადებიდგან ჩემს ცხოვრებაში, რომ მომინდა ლოცვა ეკკლესიაში! თვითონ არ ვიცი ეხლა, როგორ მოხდა ეს; მაგრამ მე გულმოდგინეთ შევევედრე ღვთის-მშობლის სასწაულ მოქმედ ხატს; ვევედრებოდი ღმერთს, რომ განემორებინა ჩემგან ცოლ-ქრმობაში მოსალოდნელი გაჭირვება.

სობოროდგან გამოსვლის დროს კარებში შემაჩერა დედაკაცმა, რომელსაც გულზე მიკრული ჰყავდა პატარა ბავშვი და დამიწყო მოწყალების თხოვა. მანემდისინ სრულიად გულ-უწყალო ვიყავ გლახაკთა, მაგრამ ეხლა კი ძლიერ შემებრალა საწყალი დედა-კაცი, მივეცი ფული და

უთხარი — ილოცე ჩემთვისაც. წაველ ქვევით და სიარულში რაღაც ცუდათ ვგრძნობდი თავს, ხან სიცხეს მომცემდა და ხან დამქექავდა, ფიქრები მერეოდნენ. მივედი თუ არა ძლივს ბინამდის — წავიქეცი უგრძნობლათ, განსაცვიფრებლათ ჩემი მუდამ ერთგული სტეფანესა, რომელიც ბავშობიდგან იყო ჩემთან და ხშირათ მაფრთხილებდა მრავალ ცუდ ქცევათაგან. შემდეგ რა მოხდა, არ მახსოვს. თითქო წარმოვიდგენდი ხოლმე, ვითომც ძილში ვარ, მახვევიან გარშემო ექიმები და ვიღაცა კიდევ სხვანი, რომ მე მტკივა საშინლათ თავი და მთლათ ტრიალებს ყველაფერი ჩემს გარეშემო, დასასრულ მე სულ დავკარგე ცნობა.

უგრძნობელობა გაგრძელდა (როგორც შემდეგ შევიტყვე) თორმეტი დღე და ღამე და შემდეგ თითქო გამოვიღვიძე. ვგრძნობ თავის თავს სრულ მეხსიერებაში, მაგრამ არ შემიძლია თვალების გახელა და გამოხედვა, არ შემიძლია პირის დაღება და რაიმე ხმის გამოთქმა, არ შემიძლია გამოვიჩინო რაიმე ნიშანი სიცოცხლისა, არ შემიძლია გავანძრიო რაიმე სხეული. უგდებ ყურს, ჩემს სიახლოვეს ისმის წყნარი ხმა.

უფალმა მწყსოს მე და არა მაკლდეს ადგილსა მწვანვილსა მუნ დამამკვიდრა მე, წყალთა ზედა განსასვენებელთასა გამომზარდა მე; მოაქცია სული ჩემი და მიძღოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდოდიდა თუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა არა შემეშინოს მე ბოროტებისაგან, რამეთუ ჩემთან ხარ (ფს. 22).

ოთახის ერთი კუთხიდგან მესმის საუბარი ორ ამხანაგთა მოსამსახურე პირებისა. მე ისინი ხმაზე ვიცანი. მებრალება საწყალი ვ., ამბობდა ერთი, — იმის სიკვდილი ჯერ ადრე იყო — როგორი მდიდარი იყო და რა ლამაზი საცოლო ჰყავდა!..

— საცოლო ბევრი შესაბრალისი არ არის — უპასუხა მეორემ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ქალი მიჰყვებოდა მაგას ანგარიშისათვის. ეგ კი მართლა შესაბრალისია. ეხლა სასესხებელსაც ველარსად ვიშოვნით — იმისგან კი ყოველთვის შეგეძლო გეშოვნა, რამდენიც გსურდათ და რამდენი ხანიც გინდოდათ.

— არამც თუ დიდ ხნობით, არამედ ზოგიერთები სრულიადაც არ უბრუნებდნენ. მართლა, არ არის ეჭვი, რომ მაგის ცხენებს გაჰყიდიან იაფათ, კარგი არ იქნება, რომ ვიყიდოთ მისი საჯდომი ცხენი?

ეს რა ამბავია? ვფიქრობ, ნუ თუ მართლა მოვკვდი? ნუ თუ ჩემს სულს ესმის რაც ხდება ჩემს გარშემო? მაშა სადამე ჩემშია სული, გაშორებული სხეულისაგან — უკვდავია სული? (მე საცოდავს პირველ შემხვდა ამაზე ფიქრი). არა, არ შეიძლება, რომ მე მკვდარი ვიყო. მე ვგრძნობ, რომ ხმელზედ ვარ დაწოლილი; ვგრძნობ, რომ მუნდირი მიჭირებს გულზედ, მაშა სადამე მე ცოცხალი ვარ. დავწვები, დავისვენებ, მოვღონიერდები და მერმე გავახელ თვალებს. როგორ შეშინდებიან ყველანი და განცვიფრდებიან!

გავიდა რამოდენიმე საათი (მე შემეძლო გამომეთვალა დრო კედლის საათის ცემაზე, რომელიც მეორე ახლო ოთახში ეკიდა). დავითნს კითხულობდნენ. საღამოს პანაშვიდზე შეიკრიბნენ მრავალნი ნაცნობები და ნათესავნი. ყველაზე უწინ მოვიდა ჩემი საცოლო თავისი მოხუცი მამით. „შენ უნდა მოწყენილი სახე დაიკავო, ეცადე, თუ შეგიძლია, რომ იტირო“, ეუბნებოდა მამა.— ნუ სწუხდებით მამილო, ეუბნებოდა ქალი, მგონია შემიძლია რიგიანათ თავის დაჭერა, მაგრამ, უკაცრავათ, ძალათ ტირილი კი არ შემიძლია. თქვენ ხომ იცით, რომ მე არ მიყვარდა ვ. . . მე მივყვებოდი მას ცოლათ მხოლოთ თქვენის წინადადებით და რჩევით. ჩემს თავს ვსწირავდი ოჯახისათვის....

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, განაგრძო მოხუცმა, მაგრამ რას იტყვიან, რომ შეგხედვენ ეგრე გულ-გრილად მყოფს? ეს დაკარგვა ჩვენთვის დიდი სამწუხაროა. შენი გათხოვება თუ გაასწორებდა ჩვენს საქმეს, თორემ ეხლა სად იშოვნი იმისთანა სასარგებლო საქმროს? რასაკვირველია, ეს საუბარი ფრანცუზულ ენაზე იყო, რომ მედავითნეს და მოსამსახურებს არ გაეგონათ, მაგრამ მე კი მესმოდა ყველაფერი და ვიცოდი... პანაშვიდის შემდეგ მოვიდა გამოსათხოვათ ჩემი საცოლო. იგი მაგრათ დაეკონა ტუჩებით ჩემს გაცივებულ ხელებზედ და დიდხანს, — თითქო ველარ მოაშორეს. ის ძალით წაიყვანეს და ურჩიეს, რომ თავი არ მოეკლა ნამეტანის მწუხარებით. ჩემს გარეშემო ისმოდა სიტყვები: „ახ, როგორ სამწუხაროა, როგორ უყვარებია საცოდავს თავისი საქმრო!“

ოჰ, წუთი სოფელო! როგორი მატყუარი და უიმედო ხარ! აი მეგობრების ამხანაგობა! აი საცოლოს სიყვარულიც!

მე კი საცოდავს, უჭკუოს გაგიჟებით მიყვარდა იგი და მასში მეგონა მხოლოთ ვპოვებდი ჩემს ბედნიერებას!..

გაგრძელება იქნება.

განცხადებანი.

დაიბეჭდენ და ისყიდებიან

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე.

ფასი მანათ-ნახევარი

თფილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან—იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან.

(10—1)

☞ დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

საქართველოს
მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „მწყემსის“ რედაქციიდამაც.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქათველოს უმთავრეს ქალაქებში.

საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

სიტყვანი და შესხმანი

ჯადალ ყოვლად უსამდვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ექსარხოსის შავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 კაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.

Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Сентября 1884 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. დამბაშიძე.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა ⁊ ფერაძისა.